

## 2. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### **„მუხლი 18. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები**

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი 40 000.0 ათასი ლარის ოდენობით და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 5 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მათი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 284 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხა გამოიყოფა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ თანადაფინანსების შემთხვევაში.

4. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცესში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მონაწილეობა.

5. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი განისაზღვროს 20 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განისაზღვროს 40 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იძულებით ჩამოჭრილი თანხები ასახოს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდით გათვალისწინებულ ასიგნებებში.

7. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ან/და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე წინადადებებს საბიუჯეტო ორგანიზაციების, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ან საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.“.

## 3. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### **„მუხლი 20. სახელმწიფო ვალი**

1. საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 685 000.0 ათასი ლარი:

ა) ძირითადი თანხის დაფარვა – 431 000.0 ათასი ლარი, მათ შორის:

ა.ა) ორმხრივი კრედიტებისათვის – 138 100.0 ათასი ლარი;

ა.ბ) მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 292 900.0 ათასი ლარი;

ბ) პროცენტის გადახდა – 254 000 ათასი ლარი, მათ შორის:

ბ.ა) ორმხრივი კრედიტებისათვის – 48 200.0 ათასი ლარი;

ბ.ბ) მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 119 800.0 ათასი ლარი;

ბ.გ) სახელმწიფოს მიერ საგარეო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულებების მომსახურებისათვის – 86 000.0 ათასი ლარი.

2. უფლება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამ კანონით საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, კრედიტორი ქვეყნის მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით განახორციელოს საქართველოს იურიდიული პირებისათვის აღნიშნული სახსრებიდან თანხების ანაზღაურება ან შესაბამისი პროგრამების დაფინანსება ამ იურიდიული პირების მიერ კრედიტორი ქვეყნისათვის საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისათვის და მომსახურების გაწევისათვის.

3. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გადასახდელი პროცენტის მოცულობა განისაზღვროს 43 308.3 ათასი ლარით, ხოლო დასაფარავი ძირითადი თანხის მოცულობა – 35 000.0 ათასი ლარით.

4. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 15 მარტს გამოშვებული 360 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 320 846.0 ათასი ლარის ოდენობით და 40 000.0 ათასი ლარის ფასიანი ქაღალდების გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის.

5. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს არაუმეტეს 400 000.0 ათასი ლარის ზრდით. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვება განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების დაფარვის აღრიცხვა განახორციელოს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი მუხლის შემცირებით.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების ნაცვლად გამოიყენოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთი. ამასთანავე, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრების წმინდა მოცულობა და მათი გამოშვების ნაცვლად ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენება ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 400 000.0 ათას ლარს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი.

2017 წლის დეკემბერი

№